დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სახელი, გვარი, აფილირებული უნივერსიტეტი/ორგანიზაცია, ქვეყანა

ირმა მანჯავიძე, M.D., PhD., სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ანა ბაცანკალაშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი, საქართველო (სტუდენტი - წევრი);

ნინო ამირანაშვილი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო (წევრი).

თბილისი
2020

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ჯგუფი ექსპერტთა აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი 237
ვებგვერდი	bauinternational.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	05.02.2015, N2
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	05.02.2021

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	1
ბაკალავრიატი	-
მაგისტრატურა	-
ერთსაფეხურიანი	1
დოქტორანტურა	-
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	-
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	1
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	54	82	0
ბაკალავრიატი	-	-	-
მაგისტრატურა	-	-	-
ერთსაფეხურიანი	54	82	0
დოქტორანტურა	-	-	-

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3^{48} პუნქტში

მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-	-	-
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	-	-	-
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-	-	-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	20
- პროფესორი	6
- ასოცირებული პროფესორი	5
- ასისტენტ პროფესორი	6
- ასისტენტი	3
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	0
- მეცნიერი	-
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	14
- აფილირებული პროფესორი	5
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	2
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	**4**
- აფილირებული ასისტენტი	3
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	0
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	77
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	16

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	3027 კვ.მ
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	--
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	--

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

შპს ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტში მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 12 ივნისის # MES 82000462096 ბრძანების საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ 2020 წლის 26 აპრილის წერილით წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და 2020 წლის 14 თებერვლის ავტორიზაციის საბჭოს სხდომის N1 ოქმში მითითებული გარემოების შეფასების მიზნით.

მონიტორინგის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის *შემდეგ* ***ქვესტანადრტებთან შესაბამისობის საკითხი:*** ქვესტანდარტი 1.2.; ქვესტანდარტი 2.3.; ქვესტანდარტი 3.3.; ქვესტანდარტი 6.2.; ქვესტანდარტი 6.3; ქვესტანდარტი 7.1.; ქვესტანდარტი 7.3., ქვესტანადრტი 7.4.

ასევე, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ს მიერ რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებულ წერილში მითითებულ გარემოებებს, როგორიცაა ქვესტანადრტ 1.1. უნივერსიტეტის მისიის ფორმულირებასთან დაკავშირებით; ქვესტანდარტი 4.1 მოდიფიცირებული იქნა აკადემიური პერსონალის არჩევის წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ოქმში ასახული შემდეგი გარემოებები:

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი: აკადემიურ და მოწვეულ თანამდებობაზე არჩევის წესი; საკვლიფიკაციო მოთხოვნები და ინგლისური ენის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტები და შეფასების კრიტერიუმები; ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები; აკადემიური პერსონალის აფილირების წესი; აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის და სახელფასო განაკვეთის დადგენის წესი; აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ რეესტრის მონაცემები (განსხვავება რეალურ მაჩვენებელთან); უწყვეტი პროფესიული განვითარება.

სტუდენტები: საგანამანთლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; ხელშეკრულებაში შესაბამისი ჩანაწერი სტუდენტების ინტელექტუალური საკუთრების შესახებ: სასწავლო ცხრილის შედგენის წესი; სასწავლო სემესტრის ხანგრძლივობა; სწავლის საფასურის გადახდის წესი; სტუდენტთა სხვადასხვა აქტივობები (კონფერენციებში მონაწილეობა) , მათ შორის სტაჟირება; საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა უნივერსიტეტში.

ვებ გვერდი: ინფორმაციების მიწოდება და განახლება (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

უსდ მიერ მოწოდებული იყო დოკუმენტაცია, რაც უკავშირდებოდა მონიტორინგის მიზნებს. ასევე სამუშაო პროცესში, ადგილზე ვიზიტის დროს, დამატებით გამოთხოვილი იქნა დოკუმენტები, რომელიც მოგვაწოდეს შეფერხების გარეშე. დამატებით გამოთხოვილი ინფორმაცია შეეხებოდა აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობებს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირად საქმეებს (20 აკადემიური პერსონალიდან მოწოდებულ იქნა 5 მათგანის პირადი საქმე) და ისეთი სახის ინფორმაციას, რომლის შესწავლაც აუცილებელი გახდა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დასმული საკითხების გასარკვევად.

მონიტორინგი დაეფუძნა რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას, ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილ გარემოებებსა და ინტერვიუს დროს მიღებულ ინფორმაციას. ქ. ბათუმში, ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 2-3 ივლისს. წინასწარ გაწერილი დღის წესრიგის შესაბამისად ჩატარდა 16 სესია, ინტერვიუებში პირები მონაწილეობდნენ როგორც ადგილზე (უნივერსიტეტში), ასევე დისტანციურად, zoom-ის საშუალებით. მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი ირმა მანჯავიძე, ჯანმრთელობის პრობლემის გამო მუშაობდა დისტანციურად და ჰქონდა სათანადო ტექნიკური მხარდაჭერა უნივერსიტეტის მხრიდან. მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა ადგილზე მოინახულეს ანატომიური ლაბორატორია, ობიექტურად სტრუტუირებული კლინიკური გამოცდის (OSCE-ს) საგამოცდო სადგურები, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი; გაეცნენ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას - "KEYPS," ელექტრონული მართვის სისტემას - "OIS" და პლაგიატის დეტექციის სისტემა Turnitin"-ს; უნივერსიტეტის ძირითადი კორპუსის გარე პერიმეტრზე დაათვალიერეს კამერები, შესაბამისი მართვის ცენტრით კორპუსის დაცვის პულტთან. მონიტორინგი განხორციელდა მშვიდ და წყნარ გარემო პირობებში, კოლეგიალობისა და ურთიერთპატივისცმის ატმოსფეროში.	
უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
სტანდარტის კომპონენტი 1.2. რეკომენდებულია სამოქმედო გეგმაში დასახული ამოცანების შესრულებისთვის საჭირო მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების მითითება.	განახლდა უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები .გეგმებში მითითებულ იქნა სტრატეგიულ ამოცანათა შესრულების რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორები. რიგ შემთხვევებში განისაზღვრა ამოცანათა შესასრულებელად მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსები (როგორც შიდა, ასევე გარე რესურსები). *აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ აქტივობას არ ჰქონდა მითითებული შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსები, რასთან დაკავშირებითაც ინტერვიუების დროს მივიღეთ სათანადო განმარტება. კერძოდ, ისეთი ტიპის აქტივობის განხორციელება, რომელიც ძირითადად შიდა რესურსების მობილიზებასთანაა დაკავშირებული ა, აქტივობა ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებში ან/და პერსონალის სამუშაოთა აღწერილობაშია გათვალისწინებული და არ საჭიროებს*

	კონკრეტული თანხის მითითებას, ვინაიდან ბიუჯეტის დივერსიფიცირებულ ფორმატშია გაწერილი. უსდ-მ გაითვალისწინა ასევე რჩევა უნივერსიტეტის მისიის იმგვარი ფორმულირების შესახებ, რომ მან მეტად ასახოს უნივერსიტეტის სპეციფიკა და ძირითადი საქმიანობის პროფილი. *დაწესებულების მიერ სრულად არის გათვალისწინებული ექსპერტების რეკომენდაცია. შესაბამისად,* **სტანდარტის კომპონენტი 1.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**
სტანდარტის კომპონენტი 2.3. შეიქმნას ეთიკის კოდექსი უნივერსიტეტის პერსონალისთვის;	„ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითიმ“ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა დოკუმენტი - ეთიკის კოდექსი პერსონალისთვის, რომელიც დამტკიცებულია უსდ-ს აკადემიური საბჭოს მიერ, 2020 წლის 27 მარტის N 15 დადგენილებით) აღსანიშნავია, რომ უსდ-ს პერსონალის ეთიკის კოდექსი შემუშავდა წინა შეფასების რეკომენდაციების მიხედვით. დოკუმენტი დეტალურად აღწერს ყველა იმ ურთიერთობას, რომელიც შესაძლებელია განხილული იქნას უსდ-ს საქმიანობის ფარგლებში. კერძოდ, კოდექსი შედგება შემდეგი ნაწილებისგან: ზოგადი დებულება, პერსონალის ქცევის სტანდარტი, საგანმანათლებლო კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული დამატებითი ვალდებულებანი, დისტანციურ მუშაობასთან დაკავშირებული ვალდებულებები, დისციპლინური წარმოება და დასკვნითი დებულებები. ასევე, დოკუმენტი მოიცავს პაციენტთან ურთიერთობის ეთიკურ ასპექტებსაც. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის პერსონალის მიერ ეთიკის კოდექსი ძირითადად გაზიარებულია. *დაწესებულების მიერ სრულად არის გათვალისწინებული ექსპერტების რეკომენდაცია. შესაბამისად,* **სტანდარტის კომპონენტი 2.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**
სტანდარტის კომპონენტი 3.3.	

რეკომენდირებულია აკადემიური/საგამოცდო პერსონალის გადამზადება OSCE-ის გამოცდის მომზადება/ჩატარებაში;	განხორციელდა აკადემიური/საგამოცდო პერსონალის გადამზადების ტრენინგი OSCE -ის (ობიექტურად სტრუქტუირებული კლინიკური) გამოცდის მომზადება/ ჩატარებასთან დაკავშირებით. *2020 წლის 3-5 თებერვალს, უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებული აკადემიური პერსონალის მობილობის ფარგლებში, კარაგანდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმულაციური და საგანმანათლებლო ცენტრის უფროსის, ასოც.პროფესორ გულშატ კემელოვის მიერ ჩატარდა ტრენინგი ობიექტურად სტრუქტუირებული კლინიკური (OSCE-ის) გამოცდის მომზადება/განხორციელების, საგამოცდო სადგურების მოწყობისა და შეფასების მეთოდებზე.* *უსდ-ს ხელმძღვანელობას და აკადემიური პროცესების მართვის სამსახურში ჩართულ პირებს გაცნობიერებული აქვთ ტრენინგების რეგულარულად ჩატარების აუცილებლობა OSCE-ის გამოცდის ჩატარების პარალელურად.* *დაწესებულების მიერ სრულად არის გათვალისწინებული ექსპერტების რეკომენდაცია. შესაბამისად,* **სტანდარტის კომპონენტი 3.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**
სტანდარტის კომპონენტი 6.2. რეკომენდირებულია მეტი აქცენტი გაკეთდეს უნივეერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო სტაჟირების ხელშეწყობაზე საზღვარგარეთ.	*უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის პოლიტიკა და სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია 2020-2022- დეტალურად არის აღწერილი სამეცნიერო -კვლევითი მიმართულების განვითარების ძირითადი მიმართულებები 2019-2023 წლებში. სხვა სტრატეგიულ გეგმებთან ერთად, მითითებულია პარტნიორ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-სასწავლო ცენტრებთან სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის გაფართოება; საერთაშორისო კვლევებში ჩართულობის უზრუნველყოფა; აკადემიური პერსონალის კვლევის მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება; რაც თავის მხრივ გულისხმობს, სამეცნიერო სტაჟირებების ხელშეწყობასაც.* *მონიტორინგის განხორციელების პერიოდისათვის აკადემიური პერსონალის*

	სტაჟირება არ იყო განხორციელებული. რის გამოც **სტანდარტის კომპონენტი 6.2. კვლავ რჩება მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან.**
სტანდარტის კომპონენტი 6.3. რეკომენდირებულია, რომ უსდ-მ მოამზადოს და გამოაქვეყნოს ყოველწლიური კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ჯამური ანგარიშები.	უნივერსიტეტში შემუშავდა სამი მნიშვნელოვანი დოკუმენტი: • სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის პოლიტიკა, რომელიც შემუშავდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ (დამტკიცებული 2020 წლის 27 მარტს, აკადემიური საბჭოს N15 დადგენილებით); • სამეცნიერო კვლევების, სამეცნიერო და საგანანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსების წესი (დამტკიცებული 2020 წლის 27 მარტს, აკადემიური საბჭოს N15 დადგენილებით); • სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია 2020-2022; აღნიშნულ დოკუმენტებში დეტალურად არის გაწერილი 6.2. და 6.3 სტანდარტის კომპონენტებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და შეფასების კრიტერიუმები. მოცემული ეტაპისათვის, დროის ამ მონაკვეთში, რეკომენდაცია ყოველწლიურ კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ჯამური ანგარიშების წარმოების თაობაზე ვერ იქნება შესრულებული, ვინიდან რეკომენდაცია არის გრძელვადიანი და მისი შესრულებისთვის მინიმუმ 1 წლიანი ვადა მაინც უნდა იყოს გათვალისწინებული. **შესაბამისად, 6.3. სტანდარტის კომპონენტის შეფასება არ იცვლება და მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**
სტანდარტის კომპონენტი 7.1. • რეკომენდებულია სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოებისათვის გარე სამეთვალყურეო სისტემის მოწესრიგება, ის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს. • უსდ ამ ეტაპზე არ აქვს სათანადო მოთხოვნების გათვალისწინებით აღჭურვილი OSCE-ს საგამოცდო სადგურები, რაც მოთხოვნების შესაბამისად უნდა არსებობდეს.	• *მონიტორინგის ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსის პერიმეტრზე განთავსებული კამერები, სამართავი პულტით უსდ-ს სასწავლო კორპუსის შესასვლელში, დაცვასთან.* • *მონიტორინგის ჯგუფმა დაათვალიერა OSCE-ს საგამოცდო სადგურები. ყველა სადგური აღჭურვილია ვიდოკამერით. სადგურებზე განლაგებულია საგამოცდო*

	დავალებების შესაბამისი სიმულატორები და მანეკენები, სამედიცინო სახარჯი მასალები (საინექციო შპრიცები, ხსნარები და სხვა), სხვადასხვა ზომის სტერილური თუ არასტერილური ხელთათმანები და სამედიცინო ნარჩენების შესაგროვებელი სპეციალური ყუთები. *დავალების შესრულებაზე დაკვირვება და შეფასება ხდება დისტანციურად, ვიდეო დაკვირვებისა და მონიტორინგის სისტემის გამოყენებით. შესაძლებელია პროცედურის და მანიპულაციის განხორციელების მიახლოების ფუნქციის გამოყენებაც.* *ასევე, როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან, უახლოეს მომავალში დაგეგმილია საგამოცდო სადგურების ისე გამიჯვნა, რომ სადგურები ერთმანეთისაგან იყოს აბსოლუტურად იზოლირებული (გამოცდის მიმდინარეობისას ერთი საგამოცდო სადგურიდან, მეორეში ხმა არ აღწევდეს) .* *დაწესებულების მიერ სრულად არის გათვალისწინებული ექსპერტების რეკომენდაციები. შესაბამისად,* **სტანდარტის კომპონენტი 7.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**
სტანდარტი 7.3. • მართვის ელექტრონული სისტემის გამართვა, რაც ინფორმაციის მართვას უფრო ეფექტურს და გამჭვირვალეს გახდის. • ინფორმაციის შენახვაზე და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირებისაგან ვერ იქნა მიღებული დამაჯერებელი ინფორმაცია, ამ სისტემების დაცულ მუშაობასთან დაკავშირებით.	*შეძენილია და დანერგვის პროცესშია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - KEYPS. მონიტორინგის ჯგუფი ადგილზე გაეცნო სისტემის მუშაობის პრინციპებს.* *რაც შეეხება მართვის ელექტრონულ სისტემა OIS-ს, რომელიც უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 2014 წლიდან, ინტერვიუებზე და ადგილზე დათვალიერების დროს გამოიკვეთა, რომ ის წარმოადგენს გაციფრულებული დოკუმენტების საცავს და არ გამოიყენება მართვის პროცესში.* *ვიზიტის განმავლობაში, ინფორმაციის შენახვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთეს დაწესებულების ვიცე რექტორმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა. მათ აღნიშნეს, რომ ინფორმაციული სისტემების გამართულ მუშაობას აკონტროლებს ინფორმაციული ტექნოლოგიების თანამშრო-მელი, რომელიც პრობლემის შემთხვევაში მიმართავს Bau Global-ს, ხოლო ინფორმაციული*

	სისტემების მართვის პოლიტიკა შემუშავებულია და ხორციელდება ამ უკანასკნელის მიერ. *ინფორმაცია ინახება 2 სერვერზე, რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის ტერიტორიაზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - «საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები", რომელშიც მითითებულია, რომ კომპიუტერული ქსელებისა და დაკავშირებული სისტემების მიერ უწყვეტი სამუშაოს უზრუნველყოფისათვის ხორციელდება თვეში ერთხელ სპეციალური შემოწმებები.* *ვინაიდან საბჭოს სხდომაზე წამოჭრილი იყო ვებგვერდის გაუმართაობის საკითხი,, ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა უნივერსიტეტის ვებგვერდი. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ვებგვერდი არ შეიცავს უახლეს ინფორმაციას.* *ვინაიდან ელექტრონული სისტემა - KEYPS დანერგვის საწყის ეტაპზეა, ხოლო OIS-ის გამოყენება არ ხდება დაწესებულების მართვის პროცესში, ასევე, ვებგვერდის გაუმართაობის გათვალისწინებით,* ***სტანდარტის კომპონენტის 7.3 შეფასება*** *რჩება უცვლელი და* ***მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.***
სტანდარტი 7.4. ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა დასახვეწია, გამჭვირვალეობის თვალთახედვით.	*უნივერსიტეტმა წარმოადგინა „ფინანსური მართვის პოლიტიკის" დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 16 მარტის 03/29 ბრძანებით) .* *დოკუმენტი შედგება უნივერსიტეტში ფინანსური მართვის მნიშვნელოვანი კომპონენტებისგან. როგორიცაა, ფინანსური მართვის პოლიტიკა, ფინანსური ანგარიშვალდებულების წესი, უნივერსიტეტის ბიუჯეტი, სააღრიცხვო პოლიტიკა, ხარჯების ანაზღაურების წესი, სწავლის საფასურის გადახდის წესი, ფინანსური აღრიცხვის სისტემა, ფინანსური აღრიცხვის სიტემის შეფასება, ფინანსური მართვის სისტემის შეფასება და კონტროლი და ფინანსური რისკების მართვა. ასევე, დოკუმენტს დანართის*

	სახით ახლავს დივერსიფიცირებული ბიუჯეტის ფორმა. *დოკუმენტში აღწერილი ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა გამჭვირვალეა, შესაბამისად, დაწესებულების მიერ სრულად არის გათვალისწინებული ექსპერტების რეკომენდაცია და* **სტანდარტის კომპონენტი 7.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

დოკუმენტში განხილულია ის სტანდარტები და ქვესტანადრტები, რაც წარმოადგენდა მონიტორინგის მიზანს. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის და საბჭოს სხდომაზე სადისკუსიო საკითხების შესახებ ინფორმაციის მოძიება და გაანალიზება.

რეკომენდაციები

სტანდარტის კომპონენტი 6.2.

- რეკომენდირებულია მეტი აქცენტი გაკეთდეს უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო სტაჟირების ხელშეწყობაზე საზღვარგარეთ.

სტანდარტის კომპონენტი 6.3.

- რეკომენდირებულია, რომ უსდ-მ მოამზადოს და გამოაქვეყნოს ყოველწლიური კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ჯამური ანგარიშები.

სტანდარტის კომპონენტი 7.3

- სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაში ელექტრონული სისტემების ეფექტური და დროული დანერგვის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აკადემიური პერსონალისთვის turnitin-ისა და KEYPS-ის სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებით (მაგ: ტრენინგების ორგანიზება).
- მომსახურებისა და პროცესების მართვის ეფექტურობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით დაწესებულებაში დაინერგოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის დროული განახლება.

რჩევები

4.1. „მოწვეული მასწავლებლის სამსახურში მიღების წესში“ განხორციელდეს დაზუსტება კლინიკურ დარგში სპეციალისტის მოწვევის მოთხოვნა კლინიკური პრაქტიკის შესახებ, მედიცინის საგანამანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად;

4.1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნეს ექიმ-პაციენტის ურთიერთობის კონფიდენციურობის საკითხი;

4.1 სასურველია, დაიგეგმოს ტრენინგები turnitin-ის, KEYPS-ის სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებით;

4.1. სასურველია გაიზარდოს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრებით;

5.1. სასურველია სტუდენტის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნას პაციენტის შესახებ სასწავლო პროცესი მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციურად შენახვის ვალდებულება;

7.3 სასურველია, უნივერსიტეტში დაინერგოს დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონული სისტემა.

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამება მოთხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		☐	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3. საგანმანათლებლო პროგრამები		☐	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4. უსდ-ის პერსონალი განიცდა სტრუქტურული ცვლილებები და არის ამჯერად ვაკანსიები		☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		☐	☐	☐	☐

6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☒	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სახელი, გვარი (თავმჯდომარე) ირმა მანჯავიძე

2. სახელი, გვარი (წევრი) ნინო ამირანაშვილი

3. სახელი, გვარი (წევრი) ანა ბაცანკალაშვილი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **წინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემული რჩევის „სასურველია, უნივერსიტეტის მისიის იმგვარი ფორმულირება, რომ მან მეტად ასახოს უნივერსიტეტის სპეციფიკა და ძირითადი საქმიანობის პროფილი“ და ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციების მიხედვით,** უნივერსიტეტის მისია ახლებურად ჩამოყალიბდა. კერძოდ, სასწავლო უნივერსიტეტის „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის“

მისიას წარმოადგენს „სამედიცინო განათლების უმაღლესი სამეცნიერო და ეთიკური სტანდარტების დანერგვით, სწავლების ახალი მეთოდების შეთავაზებით, ინოვაციური მენეჯმენტისა და თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების მუდმივი განვითარებით ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო სივრცეში სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის ღირებულებების დანერგვას და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვასა და გაუმჯობესებას მედიცინის სფეროში პროფესიონალთა მომზადებით. მათი მაღალი მოლოდინი საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლებასა და მსოფლიო მასშტაბით დასაქმებასთან მიმართებით, წარმოადგენს წინაპირობას მაღალკვალიფიციური, გლობალურად გამოყენებადი უნარების, სამეცნიერო ხედვის, მაღალი ეთიკური ღირებულებებისა და ლიბერალური ფასეულობების მქონე პროფესიონალებად ჩამოყალიბებისთვის“.

მისიაში ასახულია ყველა ის კომპონენტი, რასაც ემსახურება უნივერსიტეტი და გაზიარებულია დაწესებულების პერსონალისა და სტუდენტთა მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა 2018-2024 (განახლების თარიღი 2020);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეკომენდებულია სამოქმედო გეგმაში დასახული ამოცანების შესრულებისთვის საჭირო მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების მითითება.

უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და რჩევა სამოქმედო გეგმაში დასახული ამოცანების შესრულებისთვის საჭირო მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსებისა და კონკრეტული ამოცანების გაწერისას სამიზნე რიცხობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორების მითითების შესახებ, კერძოდ განახლდა უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები - გეგმებში მითითებულ იქნა სტრატეგიულ ამოცანათა შესრულების რაოდენობრივი და თვისებრივი

ინდიკატორები. რიგ შემთხვევებში განისაზღვრა ამოცანათა შესასრულებლად მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსები (როგორც შიდა, ასევე გარე რესურსები). აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ აქტივობას არ ჰქონდა მითითებული შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსები, რასთან დაკავშირებითაც ინტერვიუების დროს მივიღეთ სათანადო განმარტება. კერძოდ, ისეთი ტიპის აქტივობის განხორციელება, რომელიც ძირითადად შიდა რესურსების მობილიზებასთანაა დაკავშირებული ან აქტივობა ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებში ან/და პერსონალის სამუშაოთა აღწერილობაშია გათვალისწინებული და არ საჭიროებს კონკრეტული თანხის მითითებას, ვინაიდან ბიუჯეტის დივერსიფიცირებულ ფორმატშია გაწერილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა 2018-2024 (განახლების თარიღი 2020); • „ბაუ ინტერნაიშენალ იუნივერსითი“ ბათუმი სამოქმედო გეგმა 2018-2024; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **წინა მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია უნივერსიტეტის პერსონალისთვის ეთიკის კოდექსის შესაქმნელად.** აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით, დაწესებულებამ შეიმუშავა ეთიკის კოდექსი პერსონალისთვის, რომელიც დამტკიცებულია უსდ-ს აკადემიური საბჭოს მიერ, 2020 წლის 27 მარტის N 15 დადგენილებით. დოკუმენტი დეტალურად აღწერს ყველა იმ ურთიერთობას, რომელიც

შესაძლებელია განხილული იქნას უსდ-ს საქმიანობის ფარგლებში. კერძოდ, კოდექსი შედგება შემდეგი ნაწილებისგან: ზოგადი დებულება, პერსონალის ქცევის სტანდარტი, საგანმანათლებლო კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული დამატებითი ვალდებულებანი, დისტანციურ მუშაობასთან დაკავშირებული ვალდებულებები, დისციპლინური წარმოება და დასკვნითი დებულებები. ასევე, დოკუმენტი მოიცავს პაციენტთან ურთიერთობის ეთიკურ ასპექტებსაც. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის პერსონალი იცნობს ეთიკის კოდექსს და იზიარებს მას. ინტერვიუების დროს დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან აღინიშნა, რომ დოკუმენტის შექმნიდან ვიზიტის დრომდე პერიოდში (ანუ, უახლოესი ორი თვის განმავლობაში) დაწესებულებაში ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ამასთანავე, დაწესებულების დაარსებიდან დღემდე არ გამოვლენილა ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევი შემთხვევები. პლაგიატის პრევენციის მიზნით, უნივერსიტეტს შეძენილი აქვს პროგრამა Turnitin, რომელიც დანერგვის პროცესშია. მონიტორინგის ვიზიტის დროს პროგრამაში ატვირთული იყო 10 სტუდენტური ნაშრომი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • პერსონალის ეთიკის კოდექსი; • Turnitin-ის გამოყენების სტატისტიკა; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წინა მონიტორინგის ფარგლებში გაცემული იქნა რეკომენდაცია: აკადემიური/საგამოცდო პერსონალის გადამზადების შესახებ ობიექტურად სტრუქტურებული კლინიკური გამოცდის (OSCE-ის) მომზადება/ჩატარებაში; უნივერსიტეტში განხორციელდა აკადემიური/საგამოცდო პერსონალის გადამზადების ტრენინგი ობიექტურად სტრუქტურებული კლინიკური გამოცდის (OSCE-ის) მომზადება/ჩატარებასთან დაკავშირებით. 2020 წლის 3-5 თებერვალს, უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებული აკადემიური პერსონალის მობილობის ფარგლებში, კარაგანდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმულაციური და საგანმანათლებლო ცენტრის უფროსის მიერ ჩატარდა ტრენინგი OSCE-ის გამოცდის მომზადება/განხორციელების, საგამოცდო სადგურების მოწყობისა და შეფასების მეთოდებზე. ინტერვიუზე გამოკითხული აკადემიური პერსონალი, რომელთა სასწავლო გეგმა მოიცავდა OSCE-ის გამოცდას იცნობდნენ სადგურებს, შეფასების კრიტერიუმებს, აღნიშნული გამოცდის წარმართვის წესს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ბაუ-ბათუმის უნივერსიტეტის ვებ გვერდი (OSCE გამოცდის მომზადებისათვის ტრენინგის ჩატარების შესახებ ინფორმაცია); • ინტერვიუ მედიცინის ფაკულტეტის დეკანთან / პროგრამის ხელმძღვანელთან; • ინტერვიუები მედიცინის პრგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • ინტერვიუ სტუდენტებთან; • OSCE საგამოცდო სადგურების ადგილზე დათვალიერების მონაცემები.
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო,

კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში დასმულ საკითხები: აკადემიური პერსონალის არჩევისა და მათი კომპეტენციის განსაზღვრა, ენობრივი კომპეტენციის შეფასება და პროფესიული განვითარება.** უსდ-ს შემუშავებული აქვს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ და დამატებით უფრო დეტალური „აკადემიური პერსონალის არჩევის წესი“ და „მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესი“. „აკადემიური პერსონალის არჩევის წესში“ განხილულია როგორც პროცედურები და ეტაპები პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ -პროფესორის პოზიციებზე. ამავე დოკუმენტში განხილულია აფილირების წესიც, სადაც მითითებულია, რომ კონკურსანტის მიერ დოკუმენტების წარმოდგენის ეტაპზე საპროცედურო კომისიის წევრის მიერ კონკურსანტისათვის შეთავაზებული იქნება ორი ფორმა აფილირების და აფილირების გარეშე აკადემიური თანამდებობის დაკავების შესახ. კონკურსანტის მიერ აფილირების სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტი დაუდებს აფილირების შესახებ შეთანხმებას, აკადემიურ კონკურსში გამარჯვების შემდეგ. კლინიკურ დარგებში აკადემიური პერსონალის არჩევისას გათვალისწინებულია მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები საექიმო საქმიანობის და კლინიკური გამოცდილების შესახებ. წარმოდგენილ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათ შორის ენის კომპეტენციის შესაფასებლად წარმოსადგენი სხვადასხვა დამადასტურებელი დოკუმენტების სია და დამატებითი მოთხოვნები. რაც მითითებულია ქვემოთ:„მუხლი5, პუნქტი 3.რ. ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის სერთიფიკატი (TOEFL (iBT 79); IELTS 6.5 (Acad.); FCE B; YDS 80; Pearson PTE Acad. 78) ან უსდ-ს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების დამადასტურებელი დიპლომი, ან ცნობა უსდ-დან, რომ სასწავლო კურსი მიჰყავდა ინგლისურ ენაზე (კურსის ხანგრძლივობა უნდა იყოს მინიმუმ ერთი თვე), ან სწავლების საერთაშორისო გამოცდილების დამადასტურებელი სერთიფიკატი. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ვერ წარმოადგენს ზემოთაღნიშნულ ვერც ერთ დოკუმენტს, ის აბარებს ბაუ-ს მიერ ორგანიზებულ ინგლისური ენის გამოცდას.“ უსდ-ც ცალკე აქვს „მოწვეული მასწავლებლის არჩევის წესი“, სადაც განსაზღვრულია პედაგოგის მოწვევის პირობები და შერჩევის კრიტერიუმები. გარდა სხვადასხვა სტანდარტულად მოთხოვნადი დოკუმენტაციისა, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე: „მაგისტრის/დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის განათლების დამადასტურებელი სერთიფიკატი“; დამატებით უნდა იქნეს წარმოდგენილი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სერთიფიკატი (ან სერთიფიკატები) და „პრაქტიკოსი ექიმის შემთხვევაში კლინიკაში მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი“. ამ უკანასკნელთან უნდა აღინიშნოს, რომ „მოწვეული მასწავლებლის არჩევის წესში“ პუნქტი 2.7. უნდა მოხდეს საკითხის დაზუსტება

მედიცინის საგანანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით-კლინიკურ დისციპლინებში მოწვეულ სპეციალისტს/მასწავლებელს კლინიკური გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა ის გარემოება, რომ არჩევის წესებსა და კრიტერიუმებს ყველა კარგად იცნობდა და განიხილავდა საკუთარი არჩევის მაგალითზე.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ბაკალავრის ხარისხის მქონე პირები და დოქტორანტები, არიან ასისტენტ -პროფესორის თანმდებობაზე ან ასწავლიან ბაზისურ ბიოსამედიცინო მეცნიერებებს.

ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, მონიტორინგის ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები. აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები უსდ-დ მიერ მოწოდებული იქნა არასრულად (20 აკადემიური პერსონალიდან მოწოდებულ იქნა 5 მათგანის პირადი საქმე). ენის სერტიფიკატების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილია. ასევე ზოგ შემთხვევაში მკაფიოდ ჩანს, როგორ მოხდა ენობრივი კომპეტენციის ზრდა და დადასტურებულია შესაბამისი სერთიფიკატით. (მაგ B2 დან C1 მდე).

„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში“ ცალკე თავი აქვს დათმობილი ადამიანური რესურსების შეფასებასა და პროფესიულ განვითარებას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პერსონალის პროფესიული განვითარების მიზანია პროფესიული ცოდნის და უნარების გაღრმავება და გაუმჯობესება. „გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად უნივერსიტეტი უფლებამოლისილია, თავად დაგეგმოს პროგრამა-ტრენინგი დასაქმებულთათვის ან მიავლინოს დასაქმებული სხვა დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალისათვის ექვს თვეში ერთხელ ხდება განახლებადი სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის შემსწავლელი ტრენინგის, ხოლო წელიწადში ერთხელ კვლევითი მეთოდოლოგიის შესახებ ტრენინგის ორგანიზება“. აღნიშნული ჩანაწერის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც, სტრატეგიული მიმართულება 2: -ში მითითებულია „ორგანიზაციული განვითარება“, რაც მოიცავს დასაქმებულზე ორიენტირებული კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბებას, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მხარდაჭერას; უნივერსიტეტის პერსონალის გაცვლით პროგრამებში ჩართულობის მხარდაჭერა გამოცდილების მიღების და გაზიარების მიზნით. ამ აქტივობაზე 2018-2024 წლებში გამოყოფილია 350000 ლარი. ამავე დოკუმენტშია მითითებული უწყვეტი განათლების ცენტრის სტრატეგიის შემუშავებისა და ჩამოყალიბების შესახებაც.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუმ გვიჩვენა, რომ უნივერსიტეტის ინიციატივით ჩატარდა ობიექტურად სტრუქტურირებული (OSCE) გამოცდის ჩატარების, ასევე პრობლემაზე და შემთხვევაზე დაფუძნებული მეთოდოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების შესახებ.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პერსონალი იცნობს ხელშეკრულების პირობებს. თუმცა, ის გარემოება, რომ შეიქმნა ეთიკის კოდექსი, სადაც ასახულია პაციენტთან ურთიერთობის ეთიკურ სტანდარტების დაცვის შესახებ, სასურველი იქნება აღნიშნული ვალდებულებების შესახებ ასევე იქნეს მითითებული, როგორც აკადემიური ასევე მოწვეული პერსონალის, ხელშეკრულებაში. სამედიცინო განათლება, დაკავშირებულია ექიმ-პაციენტის ურთიერთობასთან, პაციენტის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვასა და პირადი ცხოვრების

ხელშეუხებლობასთან. პაციენტის ინტერესები ყოველთვის უზენაესია, როგორც სამედიცინო მომსახურების მიწოდებისას, ასევე სამედიცინო კვლევების განხორციელებისას.

ინტერვიუებზე გამოიკვეთა, რომ ბოლო შეფასების შემდეგ უნივერსიტეტში განხორციელდა და იგეგმება მთელი რიგი სტრუქტურული ცვლილებები, კერძოდ, გაიყო რამდენიმე სამსახური და სტრუქტურულ ერთეულებში დაიგეგმა თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდა სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრებით, თუმცა ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა შესაძლებლობა, გასცნობოდა სტრუქტურული ცვლილებებისა და კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება ამ ცვლილებებს და მიიჩნევს, რომ ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით, დაწესებულებას ესაჭიროება სათანადო კვალიფიკაციის კადრების დამატება სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში. მაგალითად, ვიზიტის პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში დასაქმებული იყო მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში შექმნილი იყო ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეული -საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, სადაც საქმისმწარმოებლისა და ადამიანური რესურსების მმართველის ფუნქციებს ასრულებდა ერთი ადამიანი. მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების უფროსის ფუნქციებს კი დროებით ითავსებდა ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ამ სამსახურებში პერსონალის ამჟამინდელი რაოდენობა სრულად ვერ უზრუნველყოფს სამსახურების დებულებებში განსაზღვრული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- მოწვეული მასწავლებლის არჩევის წესი;
- აკადემიური პერსონალის არჩევის წესი;
- ადმინისტრაციული პერსონალის ჩამონათვალი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

- „მოწვეული მასწავლებლის სამსახურში მიღების წესში“ განხორციელდეს დაზუსტება კლინიკურ დარგში სპეციალისტის მოწვევის მოთხოვნა კლინიკური პრაქტიკის შესახებ, მედიცინის საგანანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად;
- სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნეს ექიმ-პაციენტის ურთიერთობის კონფიდენციურობის საკითხი;
- სასურველია, გაიზარდოს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრებით;

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა
უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში დასმულ საკითხები: აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა.** უნივერსიტეტში მოქმედებს დიპლომირებული მედიკოსის აკრედიტებული ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელებაც უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობის აკადემიური და მოწვეული პერსონალით. კერძოდ, უნივერსიტეტში დასაქმებულია 20 აკადემიური პერსონალი (მათ შორის 14 აფილირებული) და 77 მოწვეული მასწავლებელი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა რეგულირდება უნივერსიტეტში მოქმედი „აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესით“ (უკანასკნელად განახლდა და რედაქტირებული სახით დამტკიცდა 13.02.2020 აკადემიური საბჭოს სხდომაზე), რომელშიც აღნიშნულია, რომ სააუდიტორო მეცადინეობების ხანგრძლივობა სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს 33 (პირველი სემესტრის-17, მეორე სემესტრი 16) კვირას, განსაზღვრულია თითოეული მეცადინეობის ხანგრძლივობა -40 წთ., 10 წთ.-იანი შესვენებით. აკადემიური პერსონალის დატვირთვა სასწავლო წლის განმავლობაში მოიცავს სააუდიტორიო და არა სააუდიტორიო საათებს. პროფესორისათვის - 200 სააუდიტორიო და 200 არა სააუდიტორიო საათს (ჯამში 400 საათი); ასოცირებული პროფესორისათვის 240 სააუდიტორიო და 150 არა სააუდიტორო საათს; ასისტენტ-პროფესორისთვის - 290 სააუდიტორიო და 100 არა სააუდიტორო საათს, ხოლო ასისტენტისთვის - 400 სააუდიტორიო და 50 არა სააუდიტორიო საათს. სწავლებაში ჩართული პერსონალის დატვირთვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია. რეესტრის მონაცემების მიხედვით უსდ-ს მიერ მოწვეული პედაგოგების და აკადემიური პერსონალის ყოველკვირეული საათობრივი დატვირთვა ჯამურად (სხვა უნივერსიტეტებში დატვირთვასთან ერთად) 30 საათამდეა. .
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • დამატებით მოწოდებული ინფორმაცია პერსონალის სტატიტიკური მონაცემების შესახებ; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები:

შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში დასმულ საკითხები: სტუდენტთა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სტუდენტთა ენის კომპეტენცია, სტუდენტთა ხელშეკრულებებში ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხი, ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა** უსდ-ს ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია აბიტურიენტისათვის ინფორმაცია (როგორც საქართველოს მოქალაქეებისათვის, ასევე უცხოელებისთვის) უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით. ვინაიდან ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტში სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს აბიტურიენტებს ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე მოეთხოვებათ. აქედან გამომდინარე, აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ ქვემოთ მოყვანილი ინგლისური ენის საერთაშორისო სერტიფიკატებიდან ერთ-ერთი: TOEFL (iBT 79), IELTS 6.5 (Acad.), FCE B, YDS 80, Pearson PTE Acad. 78, CAE A. ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი იმ აბიტურიენტებს, რომლებიც სათანადო დონეზე ფლობენ ინგლისურ ენას, ხოლო არა აქვთ ინგლისური ენის საერთაშორისო სერტიფიკატი, შესაძლებლობას აძლევს გაიარონ ინგლისური ენის ტესტირება BAU Proficiency-ი. გამოცდაზე მიღებული ქულა მინიმუმ 60-ს უნდა შეადგენდეს. ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტში, მედიცინის ფაკულტეტზე სწავლის მსურველები, რომლებიც ვერ წარმოადგენენ უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს და ამასთანავე ვერ ჩააბარებენ BAU Proficiency-ის გამოცდას, რეგისტრირდებიან ინგლისური ენის მოსამზადებელ კურსზე, რომელიც ინგლისური ენის სათანადო დონეზე დაუფლების საშუალებას იძლევა. კანდიდატებს ასევე მოეთხოვებათ ვიდეო ინტერვიუს გავლა.

საბჭოს სხდომის ოქმში სადისკუსიო საკითხთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტის მიხედვით ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა დამოკიდებულია სასწავლო სილაბუსზე და მერყეობს 4-5 დან 5-7 სტუდენტამდე; პრობლემაზე დაფუძნებული და კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული მეცადინეობის შემთხვევაში 10.

ვიზიტის დროს განხორციელდა სტუდენტთა ხელშეკრულებების გადახედვა, სადაც განხორციელებულია სწავლის პერიოდში ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისი ცვლილებები.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაცია მოიცავდა სტუდენტის ხელშეკრულებას , რომელშიც შეტანილია შემდეგი მუხლი 7 : ინტელექტუალური საკუთრება . აღნიშნული მუხლის თანახმად სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევითი საქმიანობის ფარგლებში შექმნილი სამეცნიერო ნაწარმოების, გამოგონების და აღმოჩენის გამოყენების, გავრცელების და ინტელექტუალური საკუთრების სხვა უფლებები , სტუდენტის ავტორობის უფლების აღიარებით ნებადართულია და წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის ინტელექტუალურ საკუთრებას.

თუმცა ვიზიტის დროს, ყურადღება გამახვილდა სასწავლო პროცესში სტუდენტების პაციენტებთან ურთიერთობის საკითხებზე. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებთან ინტერვიუს დროს მათი აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სასწავლო სილაბუსში გაეცნენ პაციენტთან ურთიერთობის ეთიკურ ასპექტებს. თუმცა სასურველი იქნებოდა, რომ სტუდენტთა ეთიკის კოდექსი ასევე მოიცავდეს პაციენტისა და სტუდენტის , როგორც მომავალი ექიმის ურთიერთობის ეთიკურ მხარეს . ვინაიდან, პერსონალის ახლად შექმნილ ეთიკის კოდექსში ეს კომპონენტი გათვალისწინებულია (ეთიკის კოდექსი პერსონალისთვის - დამტკიცებული იქნა უსდ-ს აკადემიური საბჭოს მიერ , 2020 წლის 27 მარტის N 15 დადგენილებით) . ასევე , მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში პაციენტის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის სტუდენტების მიერ კონფიდენციურად კონფიდენციალურად შენახვის ვალდებულების გათვალისწინებაც სტუდენტის ხელშეკრულებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი;
- სტუდენტთა ხელშეკრულების ფორმა;
- სტუდენტთა ეთიკის კოდექსი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

- სასურველია სტუდენტის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნეს პაციენტის შესახებ სასწავლო პროცესში მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციურად შენახვის ვალდებულება;

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში დასმული საკითხები: სტუდენტთა სასწავლო ცხრილები, სტუდენტთა მონაწილეობა სხვადასხვა სახის სამეცნიერო კონფერენციებში, სტუდენტთა მხარდაჭერა უნივერსიტეტის მხრიდან, ვებგვერდზე სტუდენტებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხი

საბჭოზე განხილული იქნა საკითხი რომელიც ეხებოდა სტუდენტთა სასწავლო ცხრილში საგნების ალოკაციას, მათ დატვირთვას ასევე შაბათის როგორც სასწავლო დღის განრიგს. აღნიშნულთან დაკავშირებით ბაუ სასწავლო უნივერსიტეტში მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დაისვა კითხვა სასწავლო ცხრილის დატვირთვის შესახებ. სტუდენტებმა აღნიშნეს რომ მათი ცხრილით გათვალისწინებული სასწავლო დატვრითვა მთელი კვირის განმავლობაში ერთგვაროვანია , ისინი არ გრძნობენ თავს სასწავლო კურსით გადატვირთულად კვირის ბოლო დღეებში (მაგ , ხუთშბათს , პარასკევს და შაბათს) ცხრილის შედგენა ხდება მათთან შეთანხმებით ის აკმაყოფილებს სტუდენტთა მოთხოვნებს, რასაც გამოკითხული სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა ადასტურებს.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა ჩამონათვალი რომელშიც გაწერილია წლების მიხედვით სტუდენტთა სხვადასხვა კონფერენციებში მონაწილეობა (კონფერენციები: „სასამართლო მედიცინა „ მეცნიერების და ინოვაციების ფესტივალი - „ ორგანოების რეგენერაციის თვალსაზრისით ენდოგენური ღეროვანი უჯრედების აქტივაცია და მისი გავლენა ცხოვრების ხარისხზე“ „სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია - კლინიკური მსჯელობის გაუმჯობესება პაციენტის უსაფრთხოებისთვის“ „ საქართველოს რესპირაციული სნეულებების ასოციაციის კონფერენცია - 2 სტუდენტი, „ ონკო 2017 და აშ), ამასთან ერთად მათი აქტივობა მოიცავს აქციებს : “ women breast cancer “ , მხარდამჭერი აქცია - დაუნის სინდრომი ;

ბაჰჩეშეჰირის უნივერსიტეტი , სტამბოლი - 21- 29 აპრილი - გვამებზე მუშაობის მოკლე კურსი

მოცემული მომენტისთვის უნივერსიტეტის მთავარ წყაროს გაცვლითი პროგრამების თვალსაზრისით თურქეთი წარმოადგენს . მიმდინარეობს დიალოგი ყირგიზეთის, ასევე გერმანიის სხვადასხვა კლინიკებთან.

აღსანიშნავია რომ მსოფლიო პანდემიის პირობების გათვალისწინებით, იმ სტუდენტებს რომელთათვისაც რთული აღმოჩნდა ონლაინ სწავლებასთან ადაპტაცია , მათივე მოთხოვნის შესამაბისად ჩაუტარდათ ფსიქოლოგის ონლაინ კონსულტაციები. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს

აღმოჩნდა რომ სტუდენტებს მიეწოდებათ ეწ გაიდლაინი პირველკურსელთათვის, ასევე გზამკვლევი ბროშურების სახით. უნივერსიტეტის სტუდენტთა მომსახურების სამსახური ეხმარება მათ საცხოვრებელი ადგილის მოძებნაში , ასევე უზრუნველყოფს როგორც უცხოელი ასევე ქართველი სტუდენტების ტრანსპორტირების საკითხს საუნივერსიტეტო ბაზამდე. უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განახლებულია ინფორმაცია შემდეგი დოკუმენტებით : პროგრამების კატალოგი (დეტალურად აღწერილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები როგორც საქართველოს ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, პროგრამის მიზანი, პროგრამის შინაარსი, სწავლა- სწავლების მეთოდები, მატერიალური და ადამიანური რესურსები ასევე ის შედეგები რომელსაც მიაღწევს სტუდენტი აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ) ; გაიდლაინი პირველკურსელთათვის; სასწავლო გეგმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უნივერსიტეტის მხრიდან ვიზიტის დროს დამატებით მოწოდებული ინფორმაცია; • ვეგ გვერდზე ინფორმაცია სტუდენტური აქტივობების შესახებ; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. ○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წინა მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ მეტი აქცენტი გაკეთდეს უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო სტაჟირების ხელშეწყობაზე საზღვარგარეთ.

სდ-ს დოკუმენტში „ სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია“ მოიცავს 2020-2022 წლებს, დოკუმენტში ნათლად ჩანს აკადემიური პერსონალის, ასევე მოწვეული პერსონალის და სტუდენტების ჩართულობის საკითხი, სტუდენტური კვლევების ხელშეწყობის ღონისძიებები. დაგეგმილია სადღეისოდ აქტუალური კვლევები, როგორც რეგიონის ასევე საქართველოს დონეზე კვლევების განხორციელება მოსახლეობის ჯანდაცვის გაუმჯობესების მიზნით. დაგეგმილია იმუნო ჰემატოლოგიური კვლევები; აჭარის მოსახლეობაში, ეპილეფსიის ეპიდემიოლოგიური კვლევა; სივრცითი მეხსიერების ფორმირების კვლევა; ხანდაზმულობის ეპიგენეტიკური და აუტოფაგური მოლეკულური მარკერების კვლევა ხანდაზმულებში; მიკრობიოლოგიური კვლევები; ფარმაკოგენეტიკა და პერსონალიზებული მედიცინის კვლევები; ღეროვანი უჯრედების კვლევა.

ასევე, დაგეგმილია ღეროვანი უჯრედებისთვის GMP ლაბორატორიის ფორმირება.

კვლევების მხარდაჭერის ღონისძიებები 2020 წლის მესამე კვარტლიდან არის დაგეგმილი. ასევე, შემუშავებულია კვლევების დაფინანსების პოლიტიკა

კვლევასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამი მნიშვნელოვანი დოკუმენტი: ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული დოკუმენტია-„სამეცნიერო კვლევით საქმიანობის პოლიტიკა“, სადაც აღნიშნულია კვლევის ეთიკის კოდექსის, ეთიკის კომიტეტის ფუნქციონირებაზე, კვლევაში ჩართული პაციენტების ინფორმირებული თანხმობის პროცედურებსა და კვლევის საზოგადოებრივი სარგებელის შესახებ.

ყველა სამეცნიერო აქტივობის განხორციელება უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს 2020 წლიდან. განსაზღვრულია შიდა გრანტების მიღების წესი და პროცედურა, შეფასების და პროექტის დამტკიცების წესი. შეფასების ინდიკატორები მოიცავს ასევე სტუდენტთა ჩართულობას. შიდა გრანტების გაცემა დაგეგმილია წელიწადში ორჯერ.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის დროს გამოკვეთილია მათი სამეცნიერო ინტერესები და გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები, მონაწილეობა აქვთ მიღებული სამეცნიერო კონფერენციების, შეხვედრების და კონგრესების მუშაობაში.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში 2018-2014 გამოყოფილია მუხლი „ კვლევითი პროექტების დაფინანსებისთვის მუდმივი სისტემის დანერგვა“, სადაც მითითებული შესაბამისი თანხა 280000 ლარის ოდენობით.

უსდ-ს მიერ შემუშავებულია ასევე ცალკე დოკუმენტი „სამეცნიერო კვლევების, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსების წესი“, რომელიც დეტალურად აღწერს დაფინანსების პრიორიტეტებს და დაფინანსების წესებს. დაფინანსების პრიორიტეტებია სტატიების, წიგნების, მონოგრაფიების დაბეჭდვა, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

დაფინანსება ეხება აფილირებულ აკადემიურ პერსონალს. აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა უნდა წარადგინოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის ფინანსური მხარდაჭერა ესაჭიროება, რის შემდეგაც აკადემიური საბჭო იმსჯელებს, რამდენად ფასეულია ამ პირის მონაწილეობა კონკრეტულ ღონისძიებაში. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა მზაობა კვლევების განვითარებისათვის. აკადემიური და მოწვეულო პირების ბიოგრაფიული მონაცემები მოიცავს მათ მიერ გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებს სხვადასხვა მიმართულებით. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის პოლიტიკა და სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია 2020-2022- დეტალურად არის აღწერილი სამეცნიერო -კვლევითი მიმართულების განვითარების ძირითადი მიმართულებები 2019-2023 წლებში. სხვა სტრატეგიულ გეგმებთან ერთად, მითითებულია პარტნიორ უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო-სასწავლო ცენტრებთან სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის გაფართოება; საერთაშორისო კვლევებში ჩართულობის უზრუნველყოფა; აკადემიური პერსონალის კვლევის მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება; რაც თავის მხრივ გულისხმობს, სამეცნიერო სტაჟირებების ხელშეწყობასაც. უცხოელ მკვლევარებთან თანამშრომლობა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სასწავლო უნივერსიტეტში მათი მოწვევისა და მის სამეცნიერო აქტივობებში ჩართვის, ასევე, სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული აფილირებული პერსონალის კვლევით პროექტში მონაწილეობას მივლინებისა და სტაჟირების ფორმატით. მონიტორინგის განხორციელების პერიოდისათვის შექმნილია ზემოაღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტები და გამოყოფილია სტრატეგიული განვითარების გეგმაში შესაბამისი თანხები, თუმცა უსდ-ს პერსონალის სტაჟირება არ განხორციელებულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სამეცნიერო კვლევით საქმიანობის პოლიტიკა; • სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია 2020-2022; • სამეცნიერო კვლევების, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსების წესი; • დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტები; • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია მეტი აქცენტი გაკეთდეს უნივეერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო სტაჟირების ხელშეწყობაზე საზღვარგარეთ.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წინა მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ უსდმ მოამზადოს და გამოაქვეყნოს ყოველწლიური კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ჯამური ანგარიშები.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის მიზნით, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შეფასების სისტემა, რომელშიც წარმოდგენილია გამჭირვალე კრიტერიუმები, რაოდენობრივი და თვისობრივი ინდიკატორები. თუმცა დოკუმენტების შესაბამისად აქტივობები დაგეგმილია მხოლოდ 2020 წლიდან. ასევე შემუშავებულია სასწავლო სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მონიტორინგის წესი.

აქვე მითითებულია, რომ კვლევითი საქმიანობის ყველა ეტაპზე მიზანშეწონილია კომპეტენტური გარე, ნეიტრალური და ობიექტური შემფასებლების ჩართვა.

კვლევის ეთიკის დებულების შემუშავება დაგეგმილია 2020 წლის მესამე კვარტალში.

კვლევების ანგარიშგების სისტემის შემუშავება და დანერგვაც სამომავლო გეგმებში შედის.

გამოთხოვილი იქნა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები, სადაც აღნიშნულია სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ. ასევე სტუდენტთა მონაწილეობა სხვდასხვა სამეცნიერო აქტივობებში გამოვლინდა მათთან ინტერვიუს დროსაც.

ვინიდან, შეფასების კრიტერიუმები არის შემუშავებული და წარმოდგენილი, თუმცა ჯერ არ არის სათანადო სამეცნიერო აქტივობები უნივერსიტეტში განხორციელებული , სტანდარტი რჩება მეტწილ შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამეცნიერო კვლევით საქმიანობის პოლიტიკა;
- სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია 2020-2022;
- სასწვლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მონიტორინგის წესი
- დამატებით გამოთხოვილი დოკუმენები

• ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია, რომ უსდ-მ მოამზადოს და გამოაქვეყნოს ყოველწლიური კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ჯამური ანგარიშები.
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **წინა მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაციები სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოებისათვის გარე სამეთვალყურეო სისტემის მოწესრიგებისა და OSCE საგამოცდო სადგურების სათანადო მოთხოვნებით აღჭურვის შესახებ.** მონიტორინგის ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსის პერიმეტრზე განთავსებული კამერები, სამართავი პულტით უსდ-ს სასწავლო კორპუსის შესასვლელში, დაცვასთან. მონიტორინგის ჯგუფმა დაათვალიერა OSCE-ს საგამოცდო სადგურები, ყველა სადგური აღჭურვილია ვიდეოკამერებით. სადგურებზე განლაგებულია საგამოცდო დავალებების შესაბამისი

სიმულატორები და მანეკენები, სამედიცინო სახარჯი მასალები (საინექციო შპრიცები, ხსნარები და სხვა), სხვადასხვა ზომის სტერილური თუ არასტერილური ხელთათმანები და სამედიცინო ნარჩენების შესაგროვებელი სპეციალური ყუთები. დავალების შესრულებაზე დაკვირვება და შეფასება ხდება დისტანციურად, ვიდეო დაკვირვებისა და მონიტორინგის სისტემის გამოყენებით. შესაძლებელია პროცედურის და მანიპულაციის განხორციელების მიახლოების ფუნქციის გამოყენებაც. ასევე, უახლოეს მომავალში დაგეგმილია საგამოცდო სადგურების ისე გამიჯვნა, რომ სადგურები ერთმანეთისაგან იყოს აბსოლუტურად იზოლირებული (გამოცდის მიმდინარეობისას ერთი საგამოცდო სადგურიდან, მეორეში ხმა არ აღწევდეს) . მოწყობილია ექიმის კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, ნიავდება ბუნებრივი წესით და მუდმივად მარაგდება ცივი და ცხელი წყლით. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით. მასში მუდმივად მორიგეობს წინასწარ განრიგით შეთანხმებული უნივერსიტეტის თანამშრომელი. ზემოთქმულის გათვალისწინებით, სტანდარტის კომპონენტში განსაზღვრული რჩევა და რეკომენდაციები შესაძლებელია ჩაითვალოს შესრულებულად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სათვალთვალო კამერების შეძენისა და OSCE ტრენინგის ჩატარების შესახებ; • ადგილზე დათვალიერების შედეგები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.3 საინფორმაციო რესურსი
○ უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.

○ უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: **წინა მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია მართვის ელექტრონული სისტემის გამართვის, ასევე აღნიშნული სისტემის დაცულ მუშაობასთან დაკავშირებით, გარდა ამისა, საბჭოს სხდომაზე გამოთქმული იყო შენიშვნა ვებგვერდის გაუმართაობაზე.** უნივერსიტეტს შეძენილი აქვს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - KEYPS, რომელიც დანერგვის პროცესშია. მინიტორინგის ჯგუფი ადგილზე გაეცნო სისტემის მუშაობის პრინციპებს. გარდა KEYPS-ისა, უნივერსიტეტს შეძენილი აქვს ასევე პროგრამული უზრუნველყოფა Turnitin და დაწყებული აქვს მისი დანერგვა და საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენება. ინტერვიუებზე გამოიკვეთა, რომ აკადემიურ პერსონალს არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია ზემოთ აღნიშნული სისტემების/პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია, დაიგეგმოს ტრენინგები ამ მიმართულებით, რათა პერსონალმა შეძლოს ამ სისტემების ეფექტური გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში. რაც შეეხება ელექტრონულ სისტემა OIS-ს, რომელიც უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 2014 წლიდან, ინტერვიუებზე და ადგილზე დათვალიერების დროს გამოიკვეთა, რომ ის წარმოადგენს გაციფრულებული დოკუმენტების საცავს და არ გამოიყენება მართვის პროცესში. ინტერვიუებზე აღინიშნა, რომ მართვისა და შიდა კომუნიკაციისათვის დაწესებულების ადმინისტრაცია იყენებს კორპორატიულ ფოსტას. ვიზიტის განმავლობაში, ინფორმაციის შენახვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთეს დაწესებულების ვიცე რექტორმა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა. მათ აღნიშნეს, რომ ინფორმაციული სისტემების გამართულ მუშაობას აკონტროლებს ინფორმაციული ტექნოლოგიების თანამშრომელი, რომელიც პრობლემის შემთხვევაში მიმართავს Bau Global-ს, ხოლო ინფორმაციული სისტემების მართვის პოლიტიკა შემუშავებულია და ხორციელდება ამ უკანასკნელის მიერ. ინფორმაცია ინახება 2 სერვერზე, რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის ტერიტორიაზე. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები", რომელშიც მითითებულია, რომ კომპიუტერული ქსელებისა და დაკავშირებული სისტემების მიერ უწყვეტი სამუშაოს უზრუნველყოფისათვის ხორციელდება თვეში ერთხელ სპეციალური შემოწმებები ვინაიდან საბჭოს სხდომაზე წამოჭრილი იყო ვებგვერდის გაუმართაობის საკითხი, ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე გადაამოწმა უნივერსიტეტის ვებგვერდიც. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ვებგვერდი ნაწილობრივ განახლებულია და არის ორენოვანი (ქართული, ინგლისური). ინგლისურენოვან ნაწილში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. ვებგვერდის ზოგიერთი რუბრიკა არ შეიცავს განახლებულ ინფორმაციას. მაგ: რუბრიკაში - ჩვენს შესახებ მითითებული არ არის განახლებული ინფორმაცია დაწესებულების მისიის, ხედვისა და სტრუქტურის შესახებ ვინაიდან ელექტრონული სისტემა - KEYPS დანერგვის საწყის ეტაპზეა, ხოლო OIS-ის გამოყენება არ ხდება დაწესებულების მართვის პროცესში, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ვებგვერდზე ინფორმაციის განახლება არ ხდება დროულად, აღნიშნული ქვესტანდარტის შეფასება რჩება უცვლელი და მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვებგვერდი;
- ადგილზე დათვალიერების შედეგები;
- KEYPS-ის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

- სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაში ელექტრონული სისტემების ეფექტური და დროული დანერგვის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აკადემიური პერსონალისთვის turnitin-ისა და KEYPS-ის სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებით (მაგ: ტრენინგების ორგანიზება).
- მომსახურებისა და პროცესების მართვის ეფექტურობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით დაწესებულებაში დაინერგოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის დროული განახლება;

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წინა მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა დახვეწის შესახებ გამჭვირვალეობის თვალსაზრისით.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა ფინანსური მართვის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 16 მარტის 03/29 ბრძანებით).

დოკუმენტი შედგება უნივერსიტეტის ფინანსური მართვის მნიშვნელოვანი კომპონენტებისგან, როგორიცაა ფინანსური მართვის პოლიტიკა, ფინანსური ანგარიშვალდებულების წესი, უნივერსიტეტის ბიუჯეტი, სააღრიცხვო პოლიტიკა, ხარჯების ანაზღაურების წესი, სწავლის საფასურის გადახდის წესი, ფინანსური აღრიცხვის სიტემა, ფინანსური აღრიცხვის სისტემის

შეფასება, ფინანსური მართვის სისტემის შეფასება და კონტროლი და ფინანსური რისკების მართვა. ასევე, დოკუმენტს დანართის სახით ახლავს დივერსიფიცირებული ბიუჯეტის ფორმა. დოკუმენტში აღწერილი ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა გამჭვირვალეა. ვინაიდან დოკუმენტი სულ რამდენიმე თვის შემუშავებულია, ექსპერტებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, დაკვირვებოდნენ დოკუმენტში აღწერილ ყველა პროცესსა და პროცედურას, თუმცა ინტერვიუებზე დაყრდნობითა და შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტის („ფინანსური მართვის პოლიტიკა“) განხილვის შედეგად დგინდება, რომ უნივერსიტეტში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის გამჭვირვალე სისტემა და მისი გამოყენების პრაქტიკა უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ფინანსური მართვის პოლიტიკა; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	**პროგრამის დასახელება**	**სწავლების ენა**	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)**	**ECTS**	**პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)**	**შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი**
1	მედიცინა	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი (0912)	360	აკრედიტებული	2020 წლის 27 მარტი, N58
2						
3						
4						
5						